ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" წლის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—120 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 40 მანეთი. ცალკე № 2 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე—1 მ. 50 კ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 50 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!..

ყურადღება!

მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

დაწმენდილი არაყი და კახური ღვინო

ძმ. სესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედრობით" და „ბოჭკობით" ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი: ვაგზლის ქ. 6. ტელეფ. 1—97.

(25—86—7)

ყურადღება!

კვირას, ივნისის 1-ს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, ქ. ახალციხეში უდროოდ გარდაიცვალა და მეორე დღესვე დასაფლავებულ იქმნა მეექვსე პოლკში ნამყოფი საქმის მწარმოებელი

ალექსანდრე (საშა) გრიგორის ძე

ბეთანელი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს გულდაწყვეტილი დედა ეზოფინე, და ანნა, ძმები ბაგრატ და პავლე ბეთანელნი.

(1—2438—1)

გულით მწუხარენი გიორგი ნიკოლოზის ძე ბაგრატიონ-დავითაშვილი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა განსვენებულის

ელენე დავითის ასულის

ბაგრატიონ-დავითაშვილისა

ვერაზე წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში 12 თიბათვეს, დილის 10 საათზე.

(1—2437—1)

საქ. რესპუბლიკის მეაფთიაქეთა კავშირი

მოუწოდებს ყველა მეაფთიაქეს, რომელიც იმყოფება რესპუბლიკაში და რომელსაც ჰსურს შეიძინოს აფთიაქის საჭიროებისათვის სპირტი, შეიტანოს ამიერ კავკასიის ბანკში, კავშირის მიმდინარე ანგარიშზე № 928 ფული ხუთასი მანეთი თითო ვედრაზე. მსურველთ მიეცემათ ოთხი თვის ნორმა ერთდროულად. ყოველგვარი ცნობა ამ საქმის შესახებ აფთიაქებს შეუძლიანთ მიიღონ კავშირის კანტორაში, გოლოვინის ქუჩა, № 24, ტელეფონი 8—68

კავშირის თავმჯდომარე გ. ჯანელიძე.

(1—2434—1)

ეროვნულ-დემოკრატ ახალგაზრდათა

კონფერენცია

დანიშნულია ორშაბათს, თიბათვის 16.

საკითხები: უფროს ამხანაგთა კონფერენციისა და ჩვენი მუშაობის საორგანიზაციო მხარეები.

სააქციონერო საზოგადოება

„კახური ღვინო"

აცხადებს ყველას საყურადღებოდ, რომ დაიწყო გაყიდვა ბუნებრივ ღვინისა მხოლოდ ვედროებით და „ბოჭკობით" ხელმისაწვდომ ფასებში თბილისში ღვინით სავაჭრო მოთავსებულია რუსთაველის (გოლოვინის) პროსპექტზე № 40.

2—2435—1

გამგეობა

ქართული სამუსიკო და საქველმოქმედო საზოგადოებანი

კონსერვატორიაში

პარასკევს, 13 თიბათვეს, გაიმართება

სასულიერო კონცერტი

ახალი ლიტურღია მესამედ

მუსიკა დ. არაყიშვილისა.

2—92—1

იყიდება

ორ სართულიანი სახლი 12 ოთახით

მე 7-დე უბანში, მარტყოფის ქუჩაზე. ცნობის მიღება შეიძლება საღამოს 7 საათიდან

(1—2436—1)

პარასკევს, 13 თიბათვის, სახელმწიფო თეატრში გაიმართება დმბის თარხნიშვილების

საღამო კონცერტის განყოფილებით

პიესაში მონაწილეობას იღებენ თბილისის საუკეთესო ძალები. წარმოდგენილი იქნება ავქსენტი ცაგარლის 4 მოქმ. კომედია **ხანუმა** დივერტისმენტში: ილ. ზურაბიშვილი, ი. გრიშაშვილი, კ. მაყაშვილი. კონცერტი მ. თარხნიშვილის ჯგუფი ძველ ქართულ-კახურ სიმღერებს საზანდარი გიგოს მეთაურობით მარო თარხნიშვილისა თარზე სოლო ძველ ქართულ ჰანგებს, სოლო პიანოზე ცნობილი მეპიანური სანდრო ადგილების ფასი ჩვეულებრივი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

(3—101—1)

## მენშევიკების ბოლშევიკობა

რომ მენშევიკი ბოლშევიკობდეს, ეს მაინც და მაინც გასაკვირი არ არის. ორივე ერთი ცომისგან არის ნაზელი. ერთი აქვთ დოქტრინა, ერთი აქვთ იდეალი. სისხლით და ხორცით მონათესავე არიან. მენშევიკი ნელია ზრდაში. ბოლშევიკი—კიდევ სწრაფი და მალი. მენშევიკების დასასრული და მისაღწევარი ბოლშევიზმია, ისე როგორც ბოლშევიკის დასაწყისია მენშევიკობა. ეს ნათესაობა და ეს მიდრეკილება ემჩნევა ჩვენის მთავრობის, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკას. თუ ჩვენს მენშევიკურ მთავრობას, სახელმწიფოებრივი ბატონობის შესანარჩუნებლად, ბოლშევიკების წინააღმდეგ რეპრესიული ზომები მიუღია, სამაგიეროდ თვით დასდგომია ბოლშევიკების პროგრამის შეპარვით ნაწილ-ნაწილ განხორციელებას. და რომ არჩევანი მიეცეს, ბოლშევიკებსა და დასავლეთ ევროპის რომელიმე დემოკრატიულ სახელმწიფოს შორის, ჩვენი მთავრობა, იმავე ნათესაობის ძალით, ან ბოლშევიკებს აირჩევს ან თვითვე გაბოლშევიკდება. და ეს შეიძლება მან ტაქტიკის საკითხად გამოაცხადოს, ის როგორც ძველად ტაქტიკის საკითხად ჰქონდა გამოცხადებული ეროვნული სახელმწიფოს იდეის უარისყოფა და მთელი ქვეყანა ახალ-ახალ არევ-დარევის ასპარეზად გადაიქცეს და აშკარად გადავიკიდოთ ის სახელმწიფონი, ვისზედაც დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის ბედის გადაწყვეტა. მიუხედავათ იმისა, რომ დიდი ხანია ყველასთვის გამოირკვა რომ საერთაშორისო მბრძანებლობა და გავლენა დღეს საბოლოოდ დიდ დემოკრატიულ არა რევოლიუციურ სახელმწიფოების ხელშია და რომ ჩვენი დამოუკიდებლობის სანქციაც მათგან უნდა მივიღოთ, ჩვენს მთავრობას არც ერთი ისეთი ნაბიჯი არ გადაუდგამს, რომ თვისი შინაური ადმინისტრაციის მეთოდი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ამ დიდ სახელმწიფოების ძირითად პოლიტიკურ-ეკონომიურ პრინციპებთან ყოფილიყო შეწყობილი. ხოლო ბოლშევიკების მდგომარეობა ისეთი მკვიდრი და საფუძვლიანი რამ ყოფილიყო, როგორიცაა ამ სახელმწიფოების მდგომარეობა, აქამდის ჩვენი მთავრობა ათასჯერ მოასწრებდა გაბოლშევიკებას. ამ გარემოებაში უნდა დავინახოთ უტყუარი საბუთები ჩვენი მთავრობის სიმპატიისა ბოლშევიზმისადმი და მისი ანტიპატია დღევანდელ დიდ არა-რევოლიუციურ დემოკრატიულ სახელმწიფოების მიმართ. ჩვენ რომ ეს ფაქტი ვმალოთ, თავის მოტყუილება იქნებოდა და ქვეყნისთვის მეტად საზიანო. ეს დამალული არ არის; და ამას ხედავენ ისინი, ვინც დღეს ფაქტიურად საქართველოს ბედის გადამწყვეტელია და ამავე დროს იარაღით ებრძვის ყოველგვარ ბოლშევიკურ მოძრაობას. ჩვენი სოციალისტური მთავრობისთვის, რა თქმა უნდა ხელსაყრელი არ არის დაინახოს, რომ მისი სოციალისტური-რევოლიუციონერობა და ფარული ბოლშევიზმია მიზეზი ჩვენი დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობის გართულების. ეს თავისთავის გამართლება და უარისყოფა იქნებოდა სამშობლოს ინტერესისათვის,—რაიც მხოლოდ დიდი ზომისა და სიმაღლის სულის პატრონს შეუძლიან. თუმცა მთელი წლის რეალური პოლიტიკის წარმოებაში ჩვენი სოციალისტური მთავრობა უნდა დარწმუნებულიყო მისი რევოლიუციურ-სოციალისტურ მაქსიმების უძლურობასა და მავნებლობაში, მაგრამ იგი მაინც თავისას არ იშლის. არც გასაკვირია, კუზიანს მხოლოდ საფლავი გაასწორებსო, ნათქვამია. მაგრამ უბედურობა ისაა რომ სოციალ-დემოკრატების კუზი ჩვენი ქვეყნის უშიშროების საფრთხედ არის გადაქცეული

# უკანასკნელი ცნობები

კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციამ პარიზის საზავო კონგრესს და ნეიტრალ ქვეყნებს პროტესტი განუცხადა დენიკინის წინსვლის გამო.

მოკავშირეებმა კოლჩაკს წინადადება მისცეს 1917 წელს არჩეული რუსეთის დამფუძნებელი კრება მოიწვიოს, კოლჩაკმა ეს შეუძლებლათა სცნო.

მოკავშირეები აპირებენ ბუდაპეშტის მთავრობის წარმომადგენელნი პარიზში გაიწვიონ საზღვრებზე მოსალაპარაკებლად.

შვეციის ქვედა პალატამ მიიღო 8 საათის სამუშაო დღის კანონი, ზედა პალატამ დიდის უმრავლესობით უარყო. პრემიერმა განაცხადა, რომ ზედა-პალატას ჩქარა დაითხოვენ.

ჩეხების ჯარში იტალიელი ოფიცრები ფრანგ-ოფიცრებით შესცვალეს.

ინგლისის, საფრანგეთის და ანტანტის დანარჩენი წევრების პოლიტიკა ბოლშევიკების მიმართ დღეს არვისთვის დაფარული არ არის. ბოლშევიკებს ებრძვიან საკუთარის ძალით, თუ კოლჩაკ-დენიკის საშუალებით. ანტანტი ბოლშევიკებს სთვლის როგორც ანტისოციალურ მოვლენას, რომელსაც მოაქვს სისხლის ღვრა ძმათა შორის დ ქვეყნის ეკონომიური განადგურება და ანტანტი ყოველ ღონეს ღონობს გაანადგუროს ეს ანტისოციალური ფერმენტი როგორც თავ-თავის ქვეყანაში, ისე რუსეთშიაც, რომელიც ბუდეა ამ მოძრაობის. და ამავე დროს ჩვენი მენშევიკური მთავრობა ბოლშევიკებისადმი სიმპატიას არ იშლის და თვით ბოლშევიკობს კიდეც. იგი მასპინძლობას უწევს და საქართველოში ცხოვრების უფლებას აძლევს აზერბაიჯანიდან გამოდევნილ ბოლშევიკებს—მირზოიან-ანაშკინებს, რომელნიც ბოლშევიკურ მოძრაობას მეთაურობდნენ. ამავე დროს ბაქოს მუშათა კონფერენცია თბილისში 15 ივნისისთვის ნიშნავს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობას. ჩვენი მთავრობა ამის წინააღმდეგ ხმას არ იღებს, ამის შემდეგ ნუ თუ საბუთი არა გვაქვს ვთქვათ რომ ჩვენი მენშევიკური მთავრობა გადაცმული ბოლშევიკური მთავრობაა! დ რა თვალით უნდა შეხედონ მას და საქართველოს იმ სახელმწიფოებმა, რომელნიც საშინელის სიმკაცრით ებრძვიან ბოლშევიკურ მთავრობას და რომელთა ხელშიც არის ჩვენი ქვეყნის ბედის გადაწყვეტა?!

ამის გამო ჩვენ არა ერთხელ გაგვიფრთხილებია ქართველი ხალხი და არა ერთხელ მოგვითხოვია ჩვენა მთავრობისაგან გარკვევით დასდგომოდა დემოკრატიულ-სახელმწიფოებრივ შემოქმედებას და უკუ ეგდო რევოლიუციურ სოციალიზმის მეთოდი და ბოლშევიკებისადმი სიმპატია. მთავრობა თავისას არ იშლის და იგი არ თულებს საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას და ხიფათში აგდებს ქვეყანას და მის დამოუკიდებლობას. როდემდის ამ გზით?

ორში ერთი აირჩიეთ, ან საქართველო, ან ბოლშევიზმი!

## დანაშაული უმოქმედობა

რაც დღე გადის, მით უფრო სისტემატიურად და სწრაფად ეცემა ჩვენი ფულის ნიშნების—ბონების ფასი. რასაკვირველია, ამას მეტად ღრმა მიზეზები აქვს, ადგილობრივი და საერთაშორისო, როგორც ეკონომიური, ისე საერთოდ პოლიტიკური.

ამ შემთხვევაში კი ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ ვაკხანალიაზე, რომელიც ჩვენში გამართეს ყველა ბედის მაძიებელმა სპეკულიანტებმა და ჩვენი მტრების აგენტებმა.

ამ ერთი კვირის წინად ეგრედ წოდებული „ნიკოლოზის“ ასმანეთიანი ფასობდა 250 მანეთად ამიერ კავკასიის ბონებით, ხოლო „კ რენსკის“ ათას-მანეთიანი ჩვენი ფულით 1500—1800 მანეთად. დღეს კი „ნიკოლოზის“ ასმანეთიანი 300—350 და მეტიც ფასობს, ხოლო „კერენსკის“ ათასიანი უკვე 2300 და მეტიც ღირს.

ადვილი გასაგები იქნებოდა, ოქროს ფულზე რომ იყოს ლაპარაკი, მაგრამ მთელი საშინელებაც იმაშია, რომ როგორც „ნიკოლაევკები“ ისე „კერენკები“ თვისი რეალური ღირებულებით გაცილებით მეტს ნაგავს წარმოადგენენ, ვიდრე ამიერ-კავკასიის ბონები.

ამის და მიუხედავად, საათობით იზრდება ამ უვარგის ქაღალდის ნიშნების ფასი და ჩვენი, ისედაც ილაჯ-გაწყვეტილი, ფინანსიური მდგომარეობა თან და თანობით ეშვება ამოუვალ უფსკრულში. ჩვენი საფინანსო უწყებაც თითქოს დასტურსა სცემს ასეთს მდგომარეობას და ნაცვლად მკაცრი რეალური ზომებისა, დუმილით ხვდება მას. ჩვენ ხომ ვიცით, რომ თავ აშვებულ სპეკულაციას არაფერი ისეთს გასაქანს არ აძლევს, როგორც მასთან ბრძოლაზე უარის თქმა და ზომების სრული მიუღებლობა ჩვენ ისიც ვიცით, რომ ასეთი ვაკხანალიის გამმეფებელნი არიან უმთავრესად საქართველოსთან სრულიად არავითარ საერთოს მქონე უცხოელები და მისი დაუძინებელი მტრები, რომელნიც შეგნებულად და ოსტატურად მოწყობილ ორგანიზაციით სრულიად ხელოვნურად ჰქმნიან ამ ეთ მდგომარეობას. ის, რასაც ვერ მიაღწიეს ახალი ფრონტების გახსნით და ჩვენთან გამუდმებულის ომებით, მათ სისრულეში მოჰყავთ ფინანსიურად ჩვენი დაცემ ს ხერხით. საქართველოს განადგურება საძნელო შეიქმნა გარეშე ძალების შემწეობით და საუკეთესო საშუალებად მათ მიიჩნიეს ასეთის ზომების მიღებით ჩვენში ანარქიის და ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისის გამოწვევა, ვინაიდან იციან, რომ უსაშინელესი საფრთხე ჩვენი რესპუბლიკისათვის სწორედ ამაშია ჩამარხული.

თუ პრესის დანიშნულება სახელმწიფოსა და ერის სამსახურია, ჩვენ ვალად ვრაცხთ შევაჩეროთ მთავრობისა და ფინანსთა მინისტრის ყურადღება ამ ფაქტზე და მოუწოდოთ მათ, რომ ან სათანადო დეკრეტის გამოცემით, ან ადმინისტრატიული ზომებით შეაჩერონ ჩვენი მტრების ეს ბოროტმოქმედება

თუ ბუნებრივ, სტიქიურ მოვლენებთან ბრძოლა ჩვენი მთავრობის ძალას აღემატება, იმდენი უნარი და გამჭრიახობა მაინც უნდა გამოიჩინონ, რომ ხელოვნურად დაგებული მახეები აირიდონ და შეაჩერონ მტრების მიერ ხელოვნურად ჩვენი ბონების ფასის დაცემა. პირდაპირ გაუგებარია ასეთი ინერტობა. მთავრობას ხელთ ჰქონდეს მთელი სახელმწიფო აპარატი და არავითარ სურვილს არ იჩენდეს რომ დაიცვას თავისი ფული, თავისი ვალიუტა,—საფუძველი და სიმტკიცე ჩვენი არსებობის, ჩვენი დამოუკიდებლობის.—ნამდვილი დანაშაულობაა!

## დამფუძნებელი კრება

**6 თიბათვის სხდომა.**

თავმჯდომარე **ალ. ლომთათიძე.**

თავმჯდომარე აცნობს კრებას, რომ მომავალში იმ დეპუტატებზე, რომლებიც სხდომებს (თუ საპატიო მიზეზი არ ექნებათ) არ დაესწრებიან, გამოყენებულ იქნება რეგლამენტის 168 მუხ.

**ი. ხოლოდაშვილის** მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი სახალხო სკოლის მასწავლებელთათვის 6 წლეულ დამატებათა დაწესების კანონისა და ახალციხე ახალქალაქ და სოხუმ-ზუგდიდ-სენაკისა გზატკეცილების შესაკეთებლათ 800,000 მ. გადადების დეკრეტისა.

**ზ. გურულის** მოხსენებით მეორე მუხლობრივ განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონ-პროექტი დაზარალებულ მეომართა და მათი ოჯახების დახმარების შესახებ.

**კანონ-პროექტი უქმე დღეების რიცხვის შემცირებისა.**

ამ საკითხზე ორი მომხსენებელია: შრომის კომისიის წარმომადგენელი **გ. მახარაძე:** აღნიშნავს, რომ უქმე დღეების რიცხვი მინიმუმამდე უნდა შემცირდეს, რადგანაც ამას მოითხოვს ჩვენი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა. მომხსენებელს მოყავს მაგალითები დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან, სადაც უქმე დღეები ძლიერ მცირეა. კანონ-პროექტის ძალით უნდა გაუქმებულ იქნას შემდეგი უქმეები: მირქმა უფლისა, დიდი პარასკევი, აღდგომის მე-3-ე დღე, მეორე ოდე სული წმინდის მოფენისა, ფერისცვალება, მიძინება ღვთისმშობლისა, ჯვართ ამაღლება და ტაძრათ მიყვანა. ამ უქმეების გაუქმება შესამჩნევად ასწევს შრომის ნაყოფიერებას და საშუალოდ თუ ვიანგარიშებთ ჩვენს ქვეყანას შესძენს 8 მილ. მანეთის ღირებულებას.

**ალ. ახათიანი** (ეროვ. დემ.) ბატონებო, ყოველივე ის, რაც შესძლებს საქართველოში შრომის ნაყოფიერების გაძლიერებას ჩვენს განსაკუთრებულს ყურადღებას მოისთხოვს. ამ მხრივ საჭიროა, რომ მრავალი ღონისძიება იქნეს მიღებული. სხვათა შორის შეიძლება იმ ღონისძიებებსაც მივმართოთ რომელთაც დეკრეტი ეხება. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ეს კანონ პროექტი ამ ჟამად, ერის მხრივ არის სრულიად უდროო და მეორეს მხრივ რაიმე მნიშვნელოვან ცვლილეებს ვერ შეიტანს შრომის ნაყოფიერების გაძლიერებაში უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო, რომ შრომის სამინისტროს მიეღო ზომები რომ არა თუ შემცირებული იყოს ეს უქმეები, საუკუნეთა მსვლელობაში დაკანონებული ეკლესიისა და ხალხის ჩვეულების მიერ, არამედ, რომ ეს უქმეები ორჯელ არ იუქმონ საქართველოში, როგორც ამას მრავალჯერ ჰქონია ადგილი. შრომის სამინისტროს მრავალი ცნობა აქვს, რომ მუშებმა ასეთი საეკლესიო უქმეები ერთხელ კი არა, ორჯელ იუქმეს ახალი სტილის შემოღების შემდგომ. ეს მომხსენებელმა უთუოდ უწყის და მე, ცოტა არ იყოს მაკვირვებს მისი განცხადება—მუშები წინააღმდეგი არიან ამოდენი უქმეებისაო. მეორეს მხრივ ის, რაც საუკუნეთა განმავლობაში დაკანონებული არის ეკლესიის მიერ და ხალხის მიერ შეთვისებული, მეტს პატივს უნდა იპყრობდეს. ხოლო თუ უქმეების შეცირება გქსურთ, საჭიროა რომ ნაჩქარევად არ კანონდებოდეს უქმეები, რომელნიც სრულიად არავითარ ღირებულობას არ წარმოადგენენ ხალხისთვის, როგორც უქმეები და რომელნიც, თუ აქ ევროპის მაგალითებზე არის ლაპარაკი, ევროპის ქვეყნებში სრულიად არ იუქმებიან. შეიძლება მუშათა ინტერნაციონალის დღე დიდი საპატივცემო დღე იყოს, მაგრამ ეს არის უქმე მარტო ერთი კლასისა. რასაკვირველია, შეიძლება რომელიმე ჯგუფმა, რომელიმე კლასმა დააკანონოს ესა თუ ის მისთვის დიდი დღესასწაული და აღნიშნოს რომელიმე დღე. შეიძლება შესაძლებელი იყოს რომ ამა თუ იმ წრემ აგრეთვე თავისთვის დააკანონოს რუსეთის რევოლუციის პირველი დღე, როგორც უქმე მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს ორი უქმე, ერის უმრავლესობისთვის არ არის მისაღები და მისთვის არავითარ ღირებულობას არ წარმოადგენს, ამიტომ, როდესაც უქმეების შემცირებაზე მიდგება ჯერი, მე მგონია, რომ ჯერ უნდა მოვსპოთ ის უქმეები, რომელნიც ასე ნაჩქარევად, ზევიდან იყო მიღებული. აქ შრომის კომისიის თავმჯდომარემ მოგახსენათ, რომ მისი ანგარიშით საქართველოში მოიპოვება 80,000 მუშა და მოსამსახურეები. უთუოთ მას მოეხსენება, რომ ამ 80,000 შორის დიდი უმრავლესობა სათანადო ღირებულებას აძლევს და სათანადო პატივით ეპყრობა ამ უქმეებს და მომხრე იქნება ამ უქმეების დატოვებისა და თუ მოიპოვება ამათ შორის სხვა შეხედულობის ეს, საქართველოს ერთან შედარებით, სრულიად უმნიშვნელო ნაწილი იქნება. რომელი სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამ ერთი მცირე ჯგუფის სურვილი მთელს ერს მოვახვიოთ თავზე. შრომის ნაყოფიერების გაძლიერება აქ არაფერ შუაშია. თქვენ მოგეხსენებათ, რვა დღეს კი არა და, მთელს კვირეებსა და თვეებს უქმობენ სხვა და სხვა სახით ამას გარდა, როდესაც უქმეების შემცირებაზე მიდგება საქმე, ცოტა მეტი აწონ-დაწონვა და მიზომა არის საჭირო. ჩვენ აქ საეკლესიო უქმეებს ვამცირებთ საეკლესიო უქმეების ასე არათმეტიკულად შემცირება შეუძლებელია. საჭირო არის, რომ ეკლესიას დავეკითხოთ, რომელი უქმეების შემცირება შეიძლება ისე, რომ საეკლესიო წესები არ დაირღვეს. ნუ თუ არ უნდა გავიგოთ, რომელია ისეთი უქმეები რომელთა მოსპობას საეკლესიო უწყება და ეკლესია არ დაეთანხმება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეკლესიის აზრს და სიტყვას არ დაუკარგავს თავის მნიშვნელობას და ღირებულობას ქართველი ერის დიდი უმრავლესობის თვალში. ყველა ამის გამო, მე არ მიმაჩნია ამ ჟამად ეს კანონ-პროექტი მისაღებათ და ვფიქრობ, რომ ეს ქართველი ერის დიდ უმრავლესობის სურვილს სრულიად არ შეეფერება. რაც შეეხება შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და გაძლიერებას, ეს დეკრეტი ამისთვის ფრიად უმნიშვნელო იქნება და ამისგან არაფერი არ გამოვა. შრომის ნაყოფიერების ამაღლებისთვის ჩვენ უფრო რადიკალური ზომები უნდა მივიღოთ.

მცირე კამათის შემდეგ დამფუძნებელი კრება დეკრეტს ღებულობს.

(დასასრული იქნება)

## ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია

9 მაის, საღამოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბინაზედ, ე. პ. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით შესდგა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენციის სხდომა.

**გარდაწყვეტილი საკითხები.**

გადმოხვეწილთა და სამოსამართლოუფლებრივი კომისიების მოხსენების შემდეგ, კონფერენციამ დაადგინა, რომ ყველა ის საკითხები, რომელნიც კომისიებში ერთხმათ იქმნენ მიღებულნი, საბოლოოთ გარდაწყვეტილათ იქმნენ ცნობილნი, ხოლო ამ საკითხების გადაწყვეტა მიენდოს კონფერენციის პრეზიდიუმს.

**ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ძალთა გაერთიანების საკითხი თავდაცვის საქმეში.**

სხდომა გადადის საქართველოს დელეგაციის მიერ წარდგენილ წინადადების მოსასმენათ, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ძალების გაერთიანების შესახებ საერთო მტრისაგან თავდაცვის საქმეში. პირველათ ლაპარაკობს ბ-ნი ნოე რამიშვილი.

**ნოე რამიშვილის განცხადება.**

საკითხი, რომელიც წამოაყენა საქართველოს დელეგაციამ, არის ძირითადი საკითხი; შეკავშირება ჩვენი ძალების, გააძლიერებს ამ ძალებს. ამ ამ ჟამად სწყდება ჩვენი არსებობის საკითხი.

მოხალისეთა ჯარის წინსვლა, რომელიც გამოიხატება მთიელთა დაპყრობით, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათათვის: მას ისინი თვით არ მალავენ. ისინი ამბობენ, რომ შეუძლიათ ავტონომია მისცენ თვითგამორკვეულ ერებს.

ერთის მხრით მუქარა ამიერ-კავკასიის ერთა დამოუკიდებლობისადმი და მუქარა რევოლუციის ყველა მონაპოვრებისადმი—აი ჩვენი მდგომარეობა.

ეს საკითხი, რომ კერძო ხასიათის იყოს, მას აქ არ წამოვაყენებდით, მაგრამ რადგან იგი საერთო ხასიათის არის, ჩვენ წინადადებას ვიძლევით, რომ ამიერ-კავკასიის კონფერენციამ განიხილოს იგი და საერთო დადგენილება მიიღოს.

რამდენათაც საკითხი ეხება ჩვენი საზღვრების დაცვას, ჩვენი რესპუბლიკა მას დაიცავს.

მოხალისეთა მოძრაობა ხასიათდება ორ სიტყვაში: ხალხთა მიძინებაში. მიაძინონ მთიელნი, შემდეგ აზერბაიჯანი და სხვებზედ გადავიდეს

დღევანდელი მომენტი ითხოვს, რომ ეს ხალხები შეეკავშირებინა. გამოვიდნენ, ამიტომ მე მაქვს პატივი წარმოვადგინო შემდეგი რეზოლუცია:

მთიელთა კავშირის რესპუბლიკაზე მოხალისეთა ჯარის შემოტევა, თავისუფლების მოყვარე ჩრდილო-კავკასიელ ერთა ძალით დამონება, და კერძოდ, მისი დაღესტანში შეჭრა არის არა მარტო თვითგამორკვეულ ჩრდილო-კავკასიელ ერთა უფლების გათელვა, არამედ პირდაპირი დამუქრება კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის მოსასპობად; მით უფრო, რომ მოხალისეთა ჯარი, გენ. დენიკინის სახით, არა ჰფარავს თავის განზრახვას: ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ოკუპაციას, მათ ტერიტორიაზე რევოლიუციამდე არსებულ წყობილების გამეფებასა და მთლიან რუსეთის აღდგენას.

ვაცხადებთ რა უსასტიკეს პროტესტს პარიზის საზავო კონფერენციისა და ნეიტრალ ქვეყნების წინაშე გენ. დენიკინის დაპყრობითი თვითგამორკვეულ კავკასიის ერთა უფლებათა შელახვის სურვილების წინააღმდეგ, კონფერეცია ადგენს გაერთიანდეს ამიერ-კავკასიის ერთა სამხედრო დიპლომატიური ძალები მომდგარ საფრთხის დასაძლევად და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

ამ რეზოლიუციის მიღებით ჩაეყრება საფუძველი მარტო მოქმედებას და მასში იქნება მომავლის საბუთიც.

**აზერბაიჯანის დელეგაციის განცხადება**

აზერბაიჯანის ოლეგაციის სახელით ფატალი-ხან-ხოილი აცხადებს, რომ წარმოდგენილი წინადადება და რეზოლიუციაც სავსებით მისაღებია სავსებით შეეფერება დღევანდელ მომენტს,

**სომხეთის დელეგაციის განცხადება.**

**ხ. ტიგრანიანი** (სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი): ეს წინადადება წარმოდგენილია საქართველოს დელეგაციის მხრით, თუ მას საქართველოს მთავრობის სანქციაც აქვს?

**ე. გეგეჭკორი:** მთავრობაც და დელეგაციაც ერთი აზრის არიან.

**ხ. ტიგრანიანის განცხადება**

ეს კითხვა მე მისთვის მოგეცით, რომ ჩვენმა დელეგაციამ ამ საკითხის შესახებ მთავრობის აზრი არ იცის. ანალოგიური საკითხი წამოყენებული იყო აზერბაიჯანის ნოტაშიაც და მაშინ ჩვენმა მთავრობამ გამოსთქვა თავისი აზრი.

აზერბაიჯანის მთავრობის ნოტაში ლაპარაკი იყო საერთო საშუალებათა გამოძებნის შესახებ მტრისაგან თავდაცვის საქმეში; მაშინ ჩვენმა მთავრობამ მოგვცა დირექტივები, რომ ამ საკითხის განხილვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა სადაო ტერიტორიალური საკითხები გარდაწყვეტილი იქნებიან. ამ ჟამად, როდისაც ჩვენ ხელთ არა გვაქვს ჩვენი მთავრობის აზრი, ჩვენ არ შეგვიძლია პასუხის მიცემა, უნდა შევეკითხოთ ჩვენს მთავრობას.

ამ ჟამად მე გთხოვთ, მიპასუხოთ რამდენიმე კითხვაზე, რომელნიც გამოწვეულნი არიან ძალიან მცირე და ცუდ ჩვენი ინფორმაციით. აქ ითქვა, რომ დენიკინი არ სცნობს ჩვენს სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას, მაგრამ მის წარმომადგენელთა ოფიციალურ განცხადებებიდან ეს არ სჩანს დენიკინის ჯარს, სრულებით სხვა განზრახვანი აქვს და მგონია, თუმც სპეციალისტი არა ვარ სამხედრო საქმეებში, ჩვენს წინააღმდეგ წამოსვლა, მის მიზანს არ შეადგენს, ამ საკითხის შესახებ, მე გთხოვთ, მომცეთ უფრო გარკვეული ცნობები, რომ შევძლო ჩემს მთავრობას ვაცნობო ესენი და განუცხადო რომ, მოხალისეთა ჯარის მხრით მას საფრთხე ელის.

მე მგონია, რომ ესეთი საშიშროება ი ნება მაშინ, როდესაც რუსეთი აღსდგება და შეკრებას დაიწყებს, ხოლო ეხლა, ჩემის აზრით, იგი საფუძველს მოკლებულია. შემდეგ, თქვენს მიერ წარმოდგენილ წინადადებაში, ლაპარაკია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სამხედრო-დიპლომატიურ თავდაცვის კავშირზედ და შემდეგ: გველის ჩვენ საფრთხე მარტო ჩრდილოეთიდან? საშიშია მდგომარეობა სამხრეთშიც სადაც, ჩვენ ვიცით რომ, ოსმალთა ჯარები აზრუმში იმყოფებიან?

**ე. გეგეჭკორის სიტყვა.**

ჩემს განმარტებას მე დავიწყებ უკანასკნელათ გამოთქმულ აზრისაგან: აქ წარმოდგენილი რეზოლუცია არის პასუხი კონკრეტიულ კითხვებზედაც. იქ ნათქვამია დენიკინის ჯარის წინსვლაზედ და იმ ზომებზედ, რომელთაც მთავრობა საჭიროთ სთვლის მის გასაჩერებლათ. პოზიცია, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაიკავა, იმდენათ ნათელი და გარკვეულია და ასეთივე იყო მაშინაც, როდესაც ქართველი ერი თავის აქტიურ უფლებისათვის გამოვიდა.

ჩვენ ვიცავთ ჩვენს სახელმწიფოებრივობას, დავიცავთ ამიერკავკასიას, საიდანაც კი არ უქადდეს მას საფრთხე.

ერთი წლის წინად ჩვენს წინაშე იდგა ის დილლემა, რომელიც სდგას ეხლაც დავრჩეთ. ამიერ-კავკასიის ფარგლებში, თუ ნება მივცეთ მტერს განაგრძოს წინსვლა?

ჩვენი გარდაწყვეტილება თქვენთვის ცნობილია. ჩვენ ვიბრძოდით მაშინაც და ახალი ფორმა ჩვენი სახელმწიფოებრივი ყოფისაკენ შესვლის ჩვენს გარდაწყვეტილებას.

ჩვენ ვიცავდით თავისუფლებას, ჩვენ ვიცავთ ამ თავისუფლებას და ვიბრძოლებთ ამ თავისუფლებისათვის.

წარმოდგენილ კითხვაზედ პასუხი პირდაპირია. ეხლა სდგას საკითხი დენიკინისაგან მომდგარ საფრთხეზედ მაგრამ თუ იქნება ეს საფრთხე სამხრეთიდანაც, ჩვენ პირველ რიგში ვიქნებით. თუ თქვენი შესწორება ამ სახის არის, ჩვენ მივიღებთ მას.

რაც შეეხება ინფორმაციის საკითხს, ახალ ცნობებს ჩვენ ვენ წარმოგიდგენთ: დენიკინის მოძრაობა თქვენთვის ცნობილია, მთიულეთის დაპყრობაც, მომხდარი ფაქტია; მე არ დავმალავ: დღესაც მივიღეთ ცნობა, რომ პეტროვსკის გარნიზონი გაძლიერებულ იქმნა დენიკინის მიერ. მისი მოქმედების აგრესიული ხასიათი, საკმაოთ გამომჟღავნებულია.

რაც შეეხება მეორე კითხვას, სამხედრო-დიპლომატიურ თავდაცვის კავშირს და თუ რა ფორმა გსურს მივცეთ მას, ჩვენ გავეცით პასუხი დამფუძნებელი კრების წინაშე.

ჩვენი საშუალებანი დღეს ამოწურული უნდა იქნეს და სასწორზედ დადებული. უნდა მოხდეს ყველა ძალთა კოორდინაცია ჩვენი [illegible] ხალხთა დასაცავათ, ჩვენი [illegible] პასუხი იყო მხოლოთ კონკრეტულ კითხვებზედ; საზღვრების დაცვა და დაცვა ჩვენი ფრონტების, ყოველთვის ჩვენი მიზანი იყო. ყველაფერი ნათქვამია; ჩვენ არაფერი არ დაგვიმალეთ ეს. დღეს ისეთი მომენტია, როდესაც არაფრის დამალვა და არც მიუჩქმება არ შეიძლება.

**ნოე რამიშვილი.**

აქ ითქვა, რომ ზოგიერთებმა უნდა წარუდგინონ აქ წამოყენებული მოსაზრებანი თავის მთავრობას, რომ მისგან მიიღონ დირექტივები.

ეს საკითხი მე დავსვი აქ, 29 მაისს და, 12 დღის განმავლობაში, მათ საკმაო დრო ჰქონდათ გაეგოთ აზრი თავისი მთავრობისა.

დენიკინის სახელით აქ იყო მისი სრულ უფლებიანი წარმომადგენელი გენ. ბრიგსი და მან განაცხადა, რომ გენ. დენიკინი თანახმაა მოგვცეს ჩვენ ავტონომია.

აზერბაიჯანის პარლამენტში წაკითხულ იქმნა ქაღალდი, რომ სამხრეთ რუსეთის სარდლობა არ სცნობს აზერბაიჯანს რუსეთისგან ჩამოშორებულათ. ამ ქაღალდს ხელს აწერს დენიკინის წარმომადგენელი პოლკ. ლაზარევი.

ეს განცხადება სავსებით ეთანაბრება ბრიგსის განცხადებას; დაღესტანსა და სოჭის ფრონტზე ძალების დაგროვება, ხომ დამამტკიცებელი საბუთია ამისა.

**სტ. მამიკონიანის სიტყვა.**

როდესაც მე მივიღე მანდატი ჩემი მთავრობისაგან ამ კონფერენციაზედ დასასწრებლად, მე წარმოდგენილიც კი არ მქონდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა ასეთი საკითხის განხილვა, რადგან მოველით აქ სულ სხვა საკითხების განსახილველად.

თქვენ გაქვთ საშუალება, როდესაც გნებავთ, მოელაპარაკოთ თქვენს მთავრობას, ხოლო ჩვენ კი შეგვიძლია ვიყოთ მხოლოდ მოამბენი ჩვენი მთავრობის წინაშე.

აქ იმყოფება ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი და შეიძლება მან იკისროს პირადი პასუხისგების ქვეშ მოლაპარაკება გასწიოს თქვენსა და აზერბაიჯანის მთავრობასთან, მხოლოდ მე შემიძლია ვიკისრო.

თუ ისეთ საკითხებშიაც კი, როგორც ვალიუტის საკითხია, ჩვენ ამდენი ხანია ვმსჯელობთ და შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ, როგორ გსურთ თქვენ გადასწყვიტოთ ასეთი დიდი მნიშვნელობის საკითხია.

აქ ლაპარაკი იყო წარსულ წელზედ, მაგრამ რაც აქ ითქვა, მხოლოთ დეკლარაციული სახე ჰქონდა მას: როდესაც შარშან ჩვენ გვემუქრებოდენ სამხრეთიდან, თქვენ იკისრეთ მოვალეობა არა მარტო თავდაცვისა, არამედ მოვალეობა ოსმალეთ-სომხეთის წინაშეც. მაშინაც ეს იყო დეკლარაციის ლამაზი სიტყვები, მაგრამ ლამაზი სიტყვების გამო სომხეთის ერი სისხლიდან დაიცალა.

**მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლის ალი-ხან კანტემირის განცხადება**

მე ხელთა მაქვს ორი ქაღალდი მოკავშირეთა და ჩრდილოეთის სარდლობის მიერ მოცემული. ჩვენთვის, რომ ვიდრე პარიზის კონფერენცია საბოლოოთ არ გადასწყვეტს მცირე ერთა საკითხს, ჩვენ თავისუფალნი ვართ შინაურ მართვა გამგეობაში და არავინ მასში არ ჩაერევა და კერძოთ დენიკინი ნაბიჯსაც არ გადასდგამსო. არ გასულა ორი კვირა ამ განცხადების შემდეგ, რომ დენიკინი შეტევაზედ გადმოვიდა.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ მოხალისეთა არმიის მსვლელობა განზრახულია ამიერკავკასიისაკენ: მე ვესალმები იმ წინადადებას, რომელიც აქ წარმოადგინა საქართველოს დელეგაციამ და სავსებით მიზანშეწონილათ მიმაჩნია.

(დასასრული ხვალ).

## გენ. ბრიგსის სამსახურიდან დათხოვა

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცეს, ინგლისის სამსახურში მყოფი გენერალი ბრიგსი, რომელიც გენ. დენიკინის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს მთავრობასთან, ინგლისის მთავრობას თანამდებობიდან გადაუყენებია და სრულებით სამსახურიდან დაუთხოვია.

## ჩხეიძის და წერეთლის წერილი

პარიზიდან თბილისში მიღებულია ჩხეიძის და წერეთლის წერილი. ვრცელ წერილიდან მოგვყავს მხოლოდ მისი შინაარსი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვისაც კი დახმარებისთვის მივმართეთ ყველა დიდ-ს თანაგრძნობით შეგვეგება. ყველა დაჟინებით გვარწმუნებს რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღიარების საკითხი იმდენად ნათელია, რომ არავითარ დავას არ გამოიწვევს

მაგრამ ჯერ კონფერენციას არ გადაუწყვეტია არც ერთი მთავარი საკითხი და ამისათვის ჯერ-ჯერობით პატარა ერების საკითხი არ გაურჩევიათ

დელეგატები იწერებიან,—„იცოდეთ თქვენი შინაური მტკიცე მდგომარეობა არ შეირყეს რაც შეეხება დამოუკიდებლობის აღიარებას ამაში პარიზის მხრით არავითარი დაბრკოლება არ გველობებაო".

# ქრონიკა

◆ **ინგლისის ჯარების გასვლა.** საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო ოფიციალური ცნობა ბრიტანეთის სარდლობისაგან, რომელიც იტყობინება რომ ინგლისის ჯარის გასვლა ნაცვლად თიბათვის 12-ისა დაიწყება მკათათვის 15 იდან.

◆ **სამხედრო შეთანხმება.** როგორც გადმოგვცემენ აზერბაიჯანი და საქართველო ახლო მომავალში ხელს მოაწერენ სამხედრო შეთანხმებას, რომლის ძალითაც, შესაძლოა, რომ ორივე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები ერთ მთავარსარდალს დაუმორჩილდეს.

◆ **პირველი ქართული კინომატოგრაფიული სურათები** ქართულ ლატარიის გამგეობის თაოსნობით ამ დღეებში მიემგზავრება საქ. ყველა დაბა-ქალაქებში საგანგებო კომისია პირველ ქართულ კინომატოგრაფიულ სურათების საჩვენებლად. ნაჩვენები იქმნება: „დამფუძნებელი კრების გახსნის დღესასწაული", „გვარდიის დღე" „საქართვ. დამოუკიდებლობის წლის თავი" და „ქრისტინე" კინო-დრამა 4 მოქმედებად.

◆ **სიღნაღის მაზრის ადმინისტრაციის შტატი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, სიღნაღის ერობის შუამდგომლობით, შემუშავებულია ახალი კანონ-პროექტი, ადმინისტრაციის გასაფართოებლად, პროექტი გადაეცემა მთავრობასა და დამფუძნებელ კრებას.

◆ **საქონელი სტუდენტთათვის.** სახ. უნ. სტ. კავ. გამგეობამ გამოიტანა ქალაქთა კავშირისაგან სტუდენტთათვის სხ. და სხ. საქონელი. გამგეობამ საქონლის გაყიდვა უკვე დაიწყო გამგეობის მიერ აღთქმული ფეხსაცმლების გამოტანა რამოდენიმე დღით შეჩერდა, რადგანაც შეკვეთილი ფეხსაცმელისათვის საჭირო ტყავები ექსპერტების მიერ ცუდი აღმოჩნდა.

◆ **სწავლის შეწყვეტა.** სახ. უნივერსიტეტში მეცადინეობა 15 თიბათვიდან შეწყდება.

## განათლებ. სამინისტროში.

◆ **ყალბი მოწმობები.** განათლების სამინისტრომ აცნობა საშუალო სკოლების გამგეთ, რომ მოწმობები რომელთაც აზით ბეჭდი „თევზაძის გიმნაზია" არ მიიღონ. ყველა ასეთი მოწმობები გაუქმებულად ითვლებიან. ასეთ მოწმობების პატრონნი ვალდებულნი არიან ორიგინალი მოწმობები განათლების სამინისტროში წარადგინონ და გამოსცვალონ.

◆ **საზღვ. გარედ წამსვლელ სტუდენტთა შესახებ.** მთავრობამ საზღვარ-გარეთ-გასაგზავნ სტუდენტთა სტიპენდიებისათვის 1 მილ. გადასდო. და დასამტკიცებლად გადასცა დამფუძნებელ კრებას, უკანასკნელის მიერ დამტკიცების შემდეგ შესდგება საგანგებო კომისია, გზათა, მიწად-მოქმედების ფინანსთა და განათლების სამინისტროთა წარმომადგენელთაგან, და შეიმუშავებენ თუ როგორი სპეციალური ცოდნით აღჭურვილი ხალხია საჭირო საქართველოსთვის. ამის შემდეგ გაირჩევა მსურველთა თხოვნები.

## სხვა და სხვა ამბებ.

◆ **ქურდობა.** 9 ივნისს სევინვ. ქ. მცხოვრებ ს. იპონსეის ბინიდან მოიპარეს სხ. და სხ. ნივთები 8,000 მ. ღირებული.

◆ **თავდასხმა** 9 ივნის ღამით რამოდენიმე შეიარაღებული პირი თავს დაესხნენ გ. მიაზოვს (ქუთაისის და ალექსანდრეს ქ. ყურე) და მძიმედ დასჭრეს სახეზედ.

◆ **ფირალ ზანდუკელის მოკვლ.** თბილისის მილიციის უფროსმა ცნობა მიიღო, რომ ცნობილი ყაჩაღი ზანდუკელი, რომელსაც ბრალდებოდა მილიციელისა და გვარდიელის მკვლელობა, არამიანცის გატაცებაში მონაწილეობა და სხ., მცხეთაში ჯვრის მონასტერში იმალებაო. მის დასაჭერად 7 ივნისს ნაშუალამევის 1 სახ. საათზე, თბილისიდან წავიდა 2 ავტომობილი მილიციელებით და საგანგებო რაზმელებით, მილიც. უფროსის სულაქველიძის სისხლის მილიც. უფროსის ფაჩულიასა და საგანგებო რაზმის უფროსის კედიას მეთაურობით. რაზმმა ალყა შემოარტყა ჯვრის მონასტერს გაჩხრიკეს ბერთა ოთახები და ზანდუკელი იქ არ აღმოჩნდა. ამ დროს გ. ფაჩულიამ რევოლვერი ესროლა ყვავს რევოლვერის ხმაზე ასტდა საიდანღაც სროლა გამოირკვა რომ ისროდა ზანდუკელი მივარდნენ ადგილიდან. ის ისროდა ტყვიის მფრქვეველით, ყრიდა ყუმბარებს და სხ. რაზმმა ყოველი მხრიდან აუტეხა სროლა და ზანდუკელი მოჰკლეს. მოკლულის გვამი თბილისში ჩამოიტანეს. დაიჭირეს აგრეთვე ბერი რომელიც უარყოფდა მის იქ ყოფნას.

# სომხეთში

**ფქვილი სომხეთისათვის.**

„აშხატავორს" სარწმუნო წყაროებიდან ატყობინებენ, რომ ამერიკიდან სომხეთისათვის ბათომში ჩამოვიდა 15.000 ტონა ე. ი. 900.000 ფუთი ფქვილი, რომელიც უკვე იტვირთება ვაგონებში სომხეთში გადასაზიდად.

**სომეხი ბოლშევიკები.**

ბაქოს გაზეთი „ისკრა" იტყობინება რომ ქ. მერვში 600 სომეხი ბოლშევიკების მხარეს გადავიდა.

**ახალი სასწავლებლები.**

სახალხო განათლების სამინისტრომ გადასწყვიტა მომავალ შემოდგომაზე სასწავლებლები გახსნას შემდეგ პუნქტებში: ეჩმიაძინში, იგდირში, ნახიჩევანში, ყამარლუში, სარდარაბადში, აშტარაკში, აკულისში, ყაგიზმანში და კარაკლისში. მთელი სომხეთი ორ დირექციად გაიყოფა.

**ყარაბახი და სომხეთი.**

როგორც „აშხატავორი" იტყობინება ყარაბაღის საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე გადასწყდება. გაზეთის აზრით საკითხი სომხეთის სასარგებლოდ გადასწყდება. იმავე გაზეთის ცნობით სომხეთის ბედი ახლო მომავალში გაირჩევა.

**ფქვილი სომხეთისათვის**

სომხეთის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ თიბათვის 2-ს ბათომში ჩამოვიდა ფქვილით დატვირთული 2 გემი. ბათომიდან თბილისში კიდეც გადმოზიდეს 7.000 ფუთი. გადმოსაზიდი საშუალებანი ძალიან მცირეა. ინგლისელები თანახმანი არიან გადაზიდონ ბათომიდან სანაინამდე თუ სომხები მაშინვე მიიღებენ ფქვილს და არ დააყოვნებენ სანაინში. საქართველო 6 ორთქლმავალის მოყიდვაზე დაგვითანხმდა.

**მაზუთი.**

სომხეთისათვის ნაყიდი 10 ვაგონი მაზუთი აქსტაფაში ჩამოიტანეს.

**პროვინციაში.**

ჯულფაში მყოფ ინგლისის ჯარის შესაცვლელად გაიგზავნა სომხური ჯარის ნაწილები.

ნახიჩევანის მაზრაში სრული წესრიგია აღდგენილი.

ყაგიზმანის მხრისკენ სომეხ და მაჰმადიან ლტოლვილთ საქონელს ართმევენ.

**ოლთის ოლქის მოთხოვნილება.**

სომხეთის დეპეშათა სააგენტომ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „ოლთის ოლქის მცხოვრებნი არა სცნობენ სომხეთის ადმინისტრაციასა და უფლებას. ჩვენ ჯარებს ოლთის ოლქის გაწმენდა მოსთხოვეს. სამხედრო ნაწილი და ადმინისტრაცია გამოვიდა. სოფ. გონდის მცხოვრებ ქურთებმა 53 მრევლი გასცეს.

# ჩრდილო კავკასია

**როგორ შევიდა დენიკინის ჯარი პეტროვსკში.**

მთიელთა მთავრობის თავმჯდომარემ კოციემ მოკავშირეთა სარდლობისაგან შემდეგი წერილი მიიღო:

„მთიელთა რესპუბლიკის მინისტრთა თავმჯდომარეს ბატ. კოცევს. აპრილის 24. 1919 წ.

მე მივიღე მოწერილობა, რომ მთიელთა მთავრობას გადმოგცეთ შემდეგი: ბრიტანეთის წინადადებაზე საომარ მოქმედების შეწყვეტისა და გენ. ლიახოვის გადაყენების შესახებ გენ. დენიკინმა მიიღო. გენერალ დენიკინმა პირადად ინახულა ჩეჩენთა, ინგუშთა, ბალყარებისა და ოსების წარმომადგენელნი და დასთანხმდა დაიცადოს მანამ, სანამ საზავო კონფერენცია არ გადასწყვეტს ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და საზღვრების საკითხს.

ამის საპასუხოდ მთიელთა მთავრობამ ნება უნდა დართოს მოხალისეთა ჯარს პეტროვსკის ნავთსადგურით ისარგებლოს, რადგან ეს მოხალისეებს გურიევის გასამაგრებლად სჭირდებოდათ.

გენ პრჟევალსკი, დენიკინის განკარგულებით პეტროვსკში თავის ძალებს შეამცირებს მაგრამ ეს მოხდება თანდათანობით. ქალაქებში და სოფლებში მოელიან რომ მთიელთა მთავრობა ამ ზავის შემდეგ დაუყონებლივ დაიწყებს ბოლშევიკების წინაღმდეგ სამხედრო მოქმედებას პოლკ. როულენდსონი გაგზავნილია დენიკინის დასარწმუნებლად იმაში, რომ მთიელთა მთავრობის სურვილები სრულდებიან. გიცხადებთ რომ პრჟევალსკის წინაღმდეგ მიმართულ ყოველივე ნაბიჯს მოკავშირენი ჩასთვლიან როგორც მათ საწინააღმდეგო აქტს.

პეტროვსკში მყოფ ბრიტანეთის ჯარის სარდალი.

# მიმოსვლის მოუწყობლობა

(გზათა სამინისტროს საყურადღებოდ)

უკუღმართობას და უცნაურობას ისე შევეჩვიეთ, რომ არც კი ვთხოულობთ,—თუ ვისი გენიოსური თავიდან გამოვიდა ესა თუ ის ყოვლად უმზგავსო და შეუსაბამო განკარგულება, რომელსაც ვერაფრით ვერ გაამართლებ—ვერც ეკონომიური, ვერც პოლიტიკური და ვერცა, თუ გინდ, პარტიული თვალსაზრისით. თუმცა დღეს ყოველ დარგში „სამეფოში სამეფოა", დაწესებულებები ერთმანეთის კომპეტენციაში ერევიან, ერთსა და იმავე დაწესებულებაში მბრძანებელი მეტია ვიდრე აღმასრულებელი, მბრძანებელი უვიცი-უპრაქტიკო, ერთმანეთის განკარგულების გამბათილებელი; სწორეთ ის დროა, რომ იტყვიან „ძაღლი პატრონს არ სცნობსო", მაგრამ რკინის გზას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, ის აუცილებლათ უნდა იქნეს დაყენებული თავის დანიშნულების სიმაღლეზე, რადგანაც მასზეა დამოკიდებული ერის ეკონომიურათ, კულტურულათ და პოლიტიკურათ აღორძინება. აქ არ უნდა ჰქონდეს ადგილი „სამეფოს სამეფოში", განკარგულება და ბრძანება უნდა იყოს მიზან შეწონილი და გათვალწინებული ყოველ მხრივ, მაგრამ...... აქ ვერ ჩამოვთვლი ყველაფერ ნაკლულევანებას, რასაც რკინის გზის სადგურებზე უწინ პლაცკარტს ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მგზავრს ეძლეოდა თავისუფალი ადგილი და შეეძლო დაძინება, ახლა კი პლაცკარტის საშვალებით მხოლოდ შეუძლია მატარებელში შესვლა; უწინ პლაცკარტიანი მატარებელი იყო ერთი, დღეს კი ყველა მატარებელი პლაცკარტიანია. უწინ პლაცკარტი ღირდა 1 მ.50 კ., დღეს კი ათი მანეთიდან ორმოც მანეთამდის. არც მანძილს აქვს მნიშვნელობა. მაგალითად შორაპნიდან ზესტაფონამდის სამი ვერსის მანძილზე მგზავრმა უნდა გადიხადოს ათი მანეთიდან ორმოც მანეთამდის სამგზავრო ფულის მიმატებით. ნუ თუ არ შეიძლება, რომ ერთი მატარებელი მაინც იყოს უპლაცკარტო, რომ ღარიბმა ხალხმა და ახლო მანძილზე მგზავრებმა არ იგრძნონ მთელი საშინელება ჩვენი მოუწყობლობისა და უცოდინარობისა?

არსებობს პირდაპირი მატარებელი წარწერით „ბაქო-თბილისი-ქუთაისი-ბათუმი", რომელიც შედის ქუთაისში იქ სტოვებს სამს ვაგონს და დანარჩენით ბრუნდება და მიდის ბათუმში ამ სამი ვაგონიდან—ერთი არის პირველის და ორი მესამე კლასის. ქუთაისიდან ამ მატარებელზე მუდამ ბევრი მგზავრია, მაგრამ ყველა როდია თბილის-ბაქოში წამსვლელი, უმრავლესობა მიდის ახლო მახლო სადგურებამდის მასთან ყველა როდია მილიონერი ან პროლეტარი. ქუთაისშიაც, როგორც სხვაგან, არსებობს შუათანა ელემენტიც, მაგრამ რადგან ამ შუათანა ელემენტისთვის და ახლო-მახლო მგზავრებისათვის არაა შესაფერი კლასი მეორე, მთელი მგზავრები აწყდებიან მესამე კლასის კასას, სადაც ბილეთი მალე გამოილევა და უმრავლესობა მგზავრების რჩება. ვისაც აუცილებელი საქმე აქვს და დარჩენა არ შეუძლია იძულებულია იყიდოს პირველი კლასის ბილეთი, რაც ახლო მგზავრისათვის საგრძნობლად ძვირია—ასე, მაგ. ქუთაისიდან ზესტაფონამდის ღირს 56 მან.

ნუ თუ ქუთაისისთვის რკინის გზის სამმართველოს არ მოეპოება ერთი მეორე კლასის ვაგონი? ნუ თუ ამას ჰქვია მიზანშეწონილი განკარგულება?

ფაქტები ღირსია ყურადღებისა!

**მ. გვალია.**

# საქართველო აფხაზეთში

ორი დიდი დემონსტრაციის მოწმენი ვიყავით ჩვენ ამ დღეებში: პირველი 26 მაისს და მეორე 1-ლ ივნისს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომისას, როდესაც მთელი ერი აცხადებდა სურვილს დამოუკიდებლად ცხოვრებისას და ამ დამოუკიდებლობის დაცვაში იგი არ უფრთხოდა შეტაკებას უფრო ძლიერ მხარესთანაც, ვიდრე დენიკინია. საერთო ზეიმმა და უფრო საერთო საფრთხემ წაშალა დროებით პარტიათა შორის განსხვავებანი და მე არ ვიცი ვისი სიტყვა სჯობდა პარლამენტში: პატრიოტული ვამჩნევთ; მხოლოდ მინდა აღვნიშნო ორი ფრიად შეუსაბამო მოვლენა; გრძნობით აღსავსე სიტყვა ს. კედიასი, თუ მთელ საქართველოსადმი მიმართული სიტყვა კ. ჯუღელისა ან სიტყვა მინისტრის ნ. რამიშვილისა. სიტყვების ღირებულება გასაზღვრულია, რა თქმა უნდა, მაგრამ ამ სიტყვების იქით ჩვენა ვგრძნობდით მთლიან საქართველოს და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ასეთი შინაარსისა და სიღრმის ელფერს აძლევდა მათ.

პატარა ერი უფრო ძლიერად განიცდის ეროვნულ გრძნობათა სიცხოველეს, ვიდრე დიდი და ქართველი ერიც გამონაკლისი არ არის ამ შემთხვევაში. და სწორედ ამ პატრიოტულ გრძნობათა, ღელვასა ვხედავდით ჩვენ ზოგად ფრაზათა თქმის დროს დამფუძნებელ კრების მემარცხენე ორატორთა სიტყვებში. ჩვენ ბევრი რამე გვაქვს სადავო და ანგარიშ გასასწორებელი ერთმანეთთან.

ეს შინ. გარეთ კი ერთნი ვართ ყველანი. არის ეს ცარიელი სიტყვები? არა, ერთი წლის განმავლობაში ჩვენ მრავალჯერ გავამართლეთ ეს.

საქართველოს სახელმწიფოებრივობა აღარა ჰგავს ქელაპტონისებულ, უძვლო მასსას. იგი კაჟდება დღითი დღე. კონტური ჩონჩხი მისი სხეულისა უკვე აშკარად ხელ შესახებია და სულ ახალოა მისი მკაფიო ფორმის ჩამოყალიბებება. საჭიროა ამისათვის მთლიანი ეროვნული პოლიტიკის წარმოება აქ ცენტრში და აგრეთვე პერიფერიებში, იქ, სადაც უფრო ცხოვლადა ჰგრძნობენ ყოველგვარ მერყეობას, მტკიცე გეგმის უქონლობას.

მე მსურს ოდნავ შევეხო დღეს საქართველოს ეროვნულ პოლიტიკას უკედა ვსთქვათ მის სრულ უქონლობას აფხაზეთში, საქართველოს ყველაზედ მნიშვნელოვან განაპირა კუთხეში.

უმთავრესი შეხლა რუსეთთან, დღევანდელი დენიკინის იქნება იგი თუ სხვა ვისიმე ჯგუფისა, მონარქისტული, თუ დემოკრატიული, მოგვიხდება აქ აფხაზეთში და საქართველოს მოაზროვნე ნაწილს სრული უფლება აქვს განსაკუთრებული ტაქტი, ცოდნა და ენერგია მოსთხოვოს ყოველ მთავრობას მთლიან საქართველოს იდეის განსამტკიცებლად აფხაზეთში.

იყო კი ეს ასე? არამც თუ მტკიცე ეროვნულ პოლიტიკას აქამდე ადგილი არა ჰქონია, ჩვენ ეჭვი გვებადება იმაშიაც კი, რომ მოქმედების რაიმე საერთო ხაზი ყოფილიყოს შემუშავებული წარმოებული აქამდე ჩვენი მთავრობის მიერ ამ მხარეში განუწყვეტელი მერყეობა—ხან ერთ—ხან მეორე ჯგუფზედ დაეყრდნობა, იყო და არის დღესაც. ფაქტები? ინებეთ: საყოველთაო არჩევნების დროს აფხაზეთის ეროვნულ საბჭოში მმართვე-

# სასკოლო პოლიტიკაზე

(დასასრული)

ზევით იმაზედ იყო ლაპარაკი რომ სწრაფ, მიზანშეუწონელ და გაბნეულ მოქმედებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი სასკოლო საქმეში, რომ სკოლის ინტერესები მოითხოვს თანადათანობას და მოქმედების სისტემატიურ მთლიანობას. საჭიროა ამ გარემოებას ხაზი გაუსვათ, მით უფრო მკაცრად, რომ რევოლიუციის მიერ შექმნილმა საზოგადო პირობებმა ერთგვარი პერტურბაცია მოახდინეს ჩვენს აზროვნებაში. ძველი წესის დამხობა ბევრს თავისი გაუნათლებლობის და ხშირად ვიწრო ეგოიზმის გამო ისე აქვს გაგებული, თითქო ამ წესთან ერთად უარყოფილი უნდა იყოს ყოველგვარი წესიერება. რევოლუცია ფაქტიურად გაგებული და წარმოდგენილია როგორც ანარქიის გამარჯვება. აი ამით სარგებლობს ყველა, ვისი მორალური შეგნებაც არ არის იმ ზომაზედ მტკიცე და ძლიერი, რომ ალაგმოს კერძო ინტერესების თარეში.

ეს ზოგადი მოვლენაა ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში—რომელი დარგიც გინდათ აიღეთ ამ ცხოვრებისა ყოველ დარგში ყველა იმას ცდილობს რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვარსებობთ სახელმწიფოში და მის კანონების ფარგლებში, მისთვის გამონაკლისი იქმნეს შექმნილი.

„მე ხომ სხვა პირობებში ვარ" „ჩემი მდგომარეობა ხომ სრულიად განსხვავებულია"—აი ის სიტყვები რომელიც გესმის მუდამ კანონის დარღვევის გასამართლებლად. ასეთი მოვლენა როგორც შედეგი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის სისუსტისა, უნდა მოისპოს. ყველამ უნდა იგრძნოს სახელმწიფოს ავტორიტეტი. პრინციპი უნდა გამეფდეს ფაქტზედ. წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუციას მოელის აუცილებელი კრიზისი: გავიხსენოთ საფრანგეთის დიდი რევოლუციის მაგალითი. ვინ იცის ეგებ ეს კრიზისი რევოლუციის დამარცხებითაც გათავდეს, თუ დროზე არ მივიღეთ სათანადო ზომები.

ერთი მიზეზიც სახელმწიფოებრივი ავტორიტეტის დასუსტებისა უნდა ჩემის აზრით, ვეძიოთ იმაში, რომ სახელმწიფოებრივი ორგანოები ვერ იჩენენ ყოველგან და ყოველთვის სათანადო პრინციპიალობას, ამას აქვს თავისი გასამართლებელი საბუთები, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც რყევა მაჩვენებელია იჭვნეულობის და ხასიათის სიმტკიცის უქონლობისა. თუ შენ არ გწამს შენი თავი, აბა სხვა როგორ გიწამებს. აი ის ზოგადი მოსაზრებანი, რომელიც უნდა დაედოს საფუძვლად დღევანდელ არამც თუ სასკოლო, რამედ საზოგადო პოლიტიკასაც. ყველამ, ვისიც ჯერ არს, უნდა იგრძნოს რომ ის ექვემდებარება სახელმწიფოს მიერ დაკანონებულ წესებს, რომ ამ წესებს წინაშე ყველანი თანასწორნი არიან და არავისთვის არავითარი გამონაკლისი არ შეიძლება რომ შეიქმნას. გამონაკლისების ხანამ განვლო, იწყება ხანა პრინციპის გამარჯვებისა: რევოლუციით შექმნილი ახალი სახელმწიფოებრივი ცენტრი მაგრდება თანდათან და არავის მისცემს უფლებას დაჰგმოს მისი ავტორიტეტი

ყველაფერი საჭიროა იმისთვის რომ შექმნილ იქმნეს პირობები დადებითი სახელმწიფოებრივი შემოქმედების. ამ პირობებს გარეშე წარმოუდგენელია სახელმწიფოებრივი საქმიანობა, ვინაიდან თვით ცნება სახელმწიფოსი ჰგულისხმობს წესიერებას. და აი ამ წესიერების თვალსაზრისით რეფორმის მოხდენის პრეტენზიები უნდა მოესპოს პერიფერიას, კერძო პიროვნებას, ან ყოველგვარ კერძო ორგანიზაციას. ბატონობა ეკუთვნის სახელმწიფოებრივ საქმეში სახელმწიფოს და ის ანდობს, თუ ამას დაინახავს საჭიროდ თავის ავტორიტეტის ნაწილს ადგილობრივ ორგანოებს იმდენად რამდენადაც ამას მოისურვებს და იმ დრომდე, ვიდრე მოისურვებს.

კერძოდ სასკოლო საქმეების შესახებ უნდა ითქვას რომ მორიგი გამოცანა სასკოლო პოლიტიკისა მდგომარეობს იმაში რომ აღდგენილი იქნეს წესიერება სკოლაში. ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იმდენი უწესოება იქნა ჩადენილი საზოგადო პირობების ზეგავლენით, რომ აუცილებელი შეიქნა რევიზია ყველაფერი იმისა, რაც მოუმოქმედებიათ ამ რყევის ხანაში. რევიზიამ უნდა მოაგონოს ყველას, რომ ნორმა არ ყოფილა თურმე სრულიად გაუქმებული, როგორც ზოგიერთს ეგონა. ამ ნორმის შეგნების გაცხოველება შეადგენს უპირველეს საგანს სასკოლო პოლიტიკისას.

რომელი მხარე გინდათ თანამედროვე სკოლის აიღოთ რომ მას არ ჰქიროდეს ნორმის მოგონება. ყველამ გამოუკლებლად, დიდებიდან დაწყებული პატარა ბავშვებამდის, გამოიყენა თანამედროვე არევ-დარევა, მაგრამ სამწუხაროდ არა საუკეთესოს შესაქმნელად, არამედ საქმის გასაუარესებლად. სკოლის დონე ძლიერ დაეცა. ვინ შესძლებს ამის უარყოფას?

8.

წესიერება უნდა აღდგენილ იქნეს. მაგრამ როგორც მოგახსენეთ წესიერება მხოლოდ უარყოფითი პირობაა დადებით შემოქმედებისა. წესიერება ფორმალური ცნებაა, რომელიც შინაარსს მოკლებული, სრულიად ცარიელია მაშ ამ ცნებას სჭირია შინაარსით შევსება, თუ ჩვენ გვსურს რომ ის კონკრეტად გავხადოთ და ხორცი შევასხათ მას.

აი ამიტომაც დღესვე უნდა შევუდგეთ ეროვნული სკოლის გეგმის შემუშავებას. ამ გეგმას საფუძვლად უნდა დაედოს ხალხის მისწრაფება. რას თხოულობს ხალხი სკოლიდან, აი ეს უნდა ვიცოდეთ ჩვენ უპირველესად. თუ ანდაზა „ხმა ღვთისა და ხმა ერისა" სრულიად მართალი არ არის, მაინც ამ ანდაზაში დამარხულია ის ჭეშმარიტება, რომ გარედან იმ ზომაზედ ვერ მივწვდებით ადამიანის მოთხოვნილებას, რა ზომაზედაც შეიძლება ეს მაშინ, როდესაც ამ ადამიანს თვითონ ავამეტყველებთ მის სურვილებზედ.

სწორედ ამ აზრით ხელმძღვანელობდა ცნობილი ამერიკელი პედაგოგი ბერნერდი, როდესაც ის, სანამ კონნექტიკუტის სწავლა-განათლების გეგმის შედგენას დაიწყებდა, შეეცადა ზედმიწევნით გაცნობოდა, რას ფიქრობდა თვითონ ხალხი სწავლა-განათლების შესახებ. მაშ ხალხმა უნდა გამოსთქვას თავისი აზრი, რას მოელის ის სკოლისაგან. ამისათვის კი საჭიროა ანკეტები, ლექციები, სახალხო-საპედაგოგიო გამოცემები. პედაგოგიური საკითხები უნდა დავუახლოვოთ ხალხს. ის მისთვის იმდენად დაახლოვებული და საინტერესო საკითხად უნდა გახდეს, როგორიც არის მაგალითად საზოგადო პოლიტიკური საკითხები. ასეთი გავრცელება ხალხის მასსაში პედაგოგიურ ცნებათა აუცილებელი პირობაა სწავლა-განათლების ეროვნული სისტემის შესაქმნელად.

ასეთ მუშაობას კი უსათუოდ სჭირია ხელმძღვანელობა. აქ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ იმ ხელმძღვანელობით, რომელსაც გაუწევს საქმეს სახალხო განათლების სამინისტროს სახით ცენტრალური მთავრობა. ამის გარდა საჭიროა განვითარებული საზოგადოებრივ-პედაგოგიური აზრი, რომელსაც შეუძლია უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ფართე მასსაში წარმოებულ პედაგოგიურ მუშაობას, ვიდრე სახელმწიფოებრივ ავტორიტეტით აღჭურვილი ორგანო. თვით ამ უკანასკნელის მოქმედება მხოლოდ მაშინ გამოიღებს ნაყოფს, როდესაც მას დაუხვდება ჩვენში გამახვილებულ პედაგოგიურ აზროვნებით განოყიერებული ნიადაგი. გარეშე ასეთი ნიადაგისა, არავითარი თესლი არ იქნება ნაყოფიერი. სახელმწიფო ქმნის მხოლოდ ფორმას, უკვე არსებული შინაარსისა. ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია საზოგადოების უნარსა და შემოქმედებით ნიჭზე.

დღეს-დღეობით, როგორც მოხსენებული იყო, საქართველოს აკლია განვითარებული და ხალხის მასსაში გაღრმავებული პედაგოგიური აზროვნება. ჩვენი პედაგოგიური აზრი იკვებებოდა რუსეთიდან მოწოდებული მასალით. ასეთი მასალა კი სრულიად არ შეეფერებოდა ჩვენს მოთხოვნილებას და ამისათვის ის მოუნელებელიც რჩებოდა ხშირად. დღეს კი, როდესაც საქართველო განთავისუფლდა, როდესაც საქართველოსთვის ეროვნული სკოლა საჭირო გახდა, მასთან ერთად საჭიროა ეროვნული პედაგოგიური აზროვნებაც. უკანასკნელს კი ჰქმნის პედაგოგიური აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კარჩაკეტილობა და აზრის დახშულობა გვეყო ქართველ პედაგოგებს. ფართედ უნდა შევეკედლოთ ერთმანეთს, ვრცლად უნდა გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი აზრები აღზრდის შესახებ. „Du choc des oqinions jaillit la vérite"—იტყვიან ფრანგები. ამიტომაც, გაცხოველებული კამათი პედაგოგიური საკითხების გარშემო აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ეროვნული აღზრდის სისტემის შესაქმნელად.

ზევით ითქვა, რომ ხალხში გაღვიძებულია სურვილი განათლებისა. მხოლოდ ამ სურვილს სჭირია კალაპოტი. ამ კალაპოტის შექმნა ევალება ინტელიგენციას, და უეჭველია, რაც უფრო გაერთიანებულად დაეწაფება ის ამ მიზანს, მით უფრო ჩქარა მიაღწევს მას. სამუშაო ყველასათვის ბევრია. ოღონდ მონახოს თითოეულმა თავისი ადგილი და შეუდგეს გულწრფელ შრომას სამშობლოს საბედნიეროდ.

ერთი და მასთან უმთავრესი საშუალება პედაგოგიური აზროვნების გაერთიანებისა არის სპეციალური პედაგოგიური პრესსა. რომელსაც დღევანდლამდე თითქმის მოკლებულნი ვართ. მძლავრი და გავლენიანი პედაგოგიური პრესსის შექმნა შეადგენს მორიგ საკითხს საზოგადოებრივ-პედაგოგიური შემოქმედებისას. გამოვთქვამ იმედს, რომ ჩვენ შევქმნით ასეთ პრესსას ახლო მომავალში სახელმწიფოს და ფართო საზოგადოების დახმარებით.

**ხ. დარიანი.**

ლი ს.-დ. პარტია იღებს უმრავლესობას არა ქართველთა ან აბხაზთა, არამედ სხვა ერების ხმებით. თუ რამდენათ სათუოა ასეთი „უმრავლესობა“ ეს ნათლად დაგვანახვა ქ. სოხუმის უკანასკნელმა საქალაქო არჩევნებმა, როდესაც ს.-დ. პარტიამ დაიკავა მესამე ადგილი (პირველი და მეორე ადგილი დაიჭირეს ეროვნ.-დემოკრ. პარტიამ და ბერძნების ეროვნ. სიამ) და საერთოდ ყველა სოციალისტურმა პარტიამ გაიყვანა ნახევარზედ ნაკლები ხმოსანთა საერთო რიცხვისა. (ერობების არჩევნებშიაც იგემეს უკვე დამარცხება ს-დ-მა (მაგალითად კოდორის უბანში).

მერყეობის პოლიტიკას გამოაქვს თავისი ნაყოფი: ჩვენ შემოვიფრთხეთ აფხაზები და ვერც სხვა ეროვნებათა გული მოვიგეთ. ჩვენვე ჩავუყარეთ საძირკველი აფხაზების შოვინისტურ, ჯერ უნიადაგო, მაგრამ, მოსალოდნელია, გაძლიერებულს მიდრეკილებას. თუ დღეს ამ მოძრაობის სათავეში დგანან გადაგვარებული, რუსეთის ორიენტაციის მომხრე აფხაზები, ხვალე შეიძლება ფართოდ გაიშალოს ეს მოძრაობა ჩამორჩენილ აფხაზეთის სოფლებში. უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრედვე იმასაც, რომ ხელოვნურად უკანასკნელ წლებში საშინლად გაიზარდა ბერძენ სომეხთა რიცხვი აფხაზეთში და საერთოდ შავი-ზღვის პირად და რა შედეგის მოტანა შეუძლიან სომეხთა ამ ზრდას, ჩვენ საკმაოდ ვიცით სოჭის ოლქში დატრიალებულ ტრაგედიის შემდეგ. სომხობა დღეს აფხაზთა „მეგობრის“ როლში გამოდის და ერთგვარი განუწყვეტელი მისვლა-მოსვლა გააჩაღეს მათთან. არანაკლებ როლს თამაშობს რუსი მოხელეობა, რომელსაც საქართველოს ყველა მხრიდან მოუყრია თავი და მოეწყო კიდეც სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებში.

დენიკინის შტაბის ფილიალი განყოფილება გეგონებათ სოხუმი ამ ხალხის ფუსფუსს რომ უყურებთ! რა თქმა უნდა, ესენიც დიდი „მეგობრები“ არიან აფხაზებისა და მათი „ეროვნული ჩაგვრა“ გულს უჩვილებს გუშინდელ დერჟიმორდებს ბევრი ამ მოხელეთაგანი აშკარად გამოდის საქართველოს წინაამდეგ. უფრო მეტი ნაწილი გახვია სოციალისტურ სხვა და სხვა ფერის ქურქებში და დიდი ადგილებიც უჭირავთ ადმინისტრატიულ აპარატში. არას ვამბობ იმის შესახებ, რომ თითქმის შეუძლებელი გახადეს მათ ქართველთა მიღება ყველა კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებაში.

ამ სტრიქონების დამწერს ჰქონდა საშუალება უმახლობელესი თვალყური ედევნებინა საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლების მოქმედებისათვის დღიდან საქართველოს ჯარის შესვლისა სოხუმის ოლქში აქამდე და, სწორე გითხრათ, იმაზედ უნუგეშო სურათს, რაც მათ მოიქმედეს, კაცი ვერ გამოიგონებდა. რის ვაი-ვაგლახით მოიშორა აფხაზეთმა „შესანიშნავი“ ადმინისტრაცია, რომელიც ეხლა თბილისის სამუნიციპალო ცხოვრებისა სათავეში მოექცა და ახალი სამოღვაწეო ფართო ასპარეზი გაიჩინა. უთუოდ ღირს მის შესახებ ცალკე გამოლაპარაკება, მაგრამ ეს შემდეგისათვის. მის მაგიერ დანიშნეს აფხაზეთში ვინმე ტუმრკინი. ვინ არის ეს ტუმრკინი, რას წარმოადგენს იგი? ეს იცის მხოლოდ მმართველმა პარტიამ იგი (ტურკინი) შესაძლებელია ძალიან კარგი პარტიული ამხანაგია და სხვა ბევრი ღირსებით აღსავსე, მაგრამ მისი საარაკო ადმინისტრატიული უნიჭობა ყველასათვის ნათელია. თვით ს.-დ. თვალსაჩინო იქაური მოღვაწენიც არ არიან დიდი მისი თაყვანისმცემლები. პირდაპირ სასაცილოდ არის გამხდარი სოხუმში საქართველოს მთავრობაზედ წარმოდგენა მისის მეოხებით. მაგრამ იგი მაგრათაზის მაინც თავის ადგილზედ. სოხუმის საქალაქო არჩევნებს იგი ასაჩივრებს და ისეთი საცოდავი საბუთებით სდგება სასამართლოს წინაშე, რომ უხერხულ მდგომარეობასა ჰბადებს თავის მომხრეთა წრეშიც-კი. არის აფხაზეთში აგრეთვე უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოს რესპუბლიკისა ბ. ის. რამიშვილი. ყოვლად უწყინარი, მაგრამ ყოვლადვე უსარგებლო ადამიანი, რომლის მსჯელობა ჩეხოვის ერთი გმირისა არ იყოს არა სცილდება ზოგად „ცოდნას“ რომ ვოლგა ერთვის კასპიის ზღვას, ცხენები სჭამენ თივასა და ქერს და სხვა ამგვარი და მსოფლმხედველობა მისი კი ამოიწურება იაფ-ფასიანი ბროშიურებით.

არც იგია დიდის ტაქტით დაჯილდოვებული და აკი იგემა კიდეც უსიამოვნო წუთები მეგრელებზედ ტლანქი ფრაზის თქმის შემდეგ.

ნულარას იკითხავთ წვრილფეხა კომისარ-მოხელეებზედ—რომელთა კულტურული განვითარება ცნობილია ყველგან.

არავითარი პარტიული ქინიანობა არ გვალაპარაკებს ამჟამად. უფრო შორსა ვართ პირად ანგარიშებთან. თუ ვამხელთ ნაკლს ეს სიხარულით არ მოგვდის ჩვენ, ვინაიდგან საბოლოოდ ეცემა საქართველოს პრესტიჟი აფხაზეთში. ჩვენ მოვალენი ვართ გავუწიოთ ანგარიში იმასაც, რომ საქართველო საგასტროლოდ არ მისულა აფხაზეთში: იგი სოჭის ოლქი არ არის, რომ ასე იოლათ დავსთმოთ. მიზან შეწონილი და მოსაზრებული უნდა იყოს მთავრობის ყოველი ნაბიჯი ამ მხარეში.

მაგონდება სიტყვები მწარე და ნაღვლიანი ნაცნობის აფხაზეთის და საქართველოს პატრიოტისა: „ვის საქმეს აკეთებს საქართველოს მთავრობა, აქ აფხაზეთში? მე აფხაზი ვარ. მიყვარს აფხაზეთი, მაგრამ მე მწამს საქართველოც, მთლიანი საქართველო, რომლის გარეშე ვერ წარმომიდგენია მე ჩემი სამშობლო მხარე. უნდა კი გითხრათ რომ უკანასკნელი წლის სინამდვილემ ბევრი ბოღმა-ნაღველი და გაუგებრობა დათესა ჩვენს შორის. დრო არის თბილისში უფრო სერიოზულად შეჰხედონ საქმის ვითარებას. არ დაივიწყოთ: აფხაზეთი კარია საქართველოსი და თუ იგი გაიღო ჩრდილოეთის ურდოები ადვილად გაივლიან მთელს დასავლეთ საქართველოს. მაშ შეეკითხეთ იქ, თბილისში, ესმით თუ არა მდგომარეობის სერიოზობა და თუ ესმით მაშ ვის საქმეს აკეთებენ აქ“.

ჩვენცა ვკითხულობთ: ვისი, ვისი საქმე კეთდება დღეს აფხაზეთში?..

ს. ფ.

## ოსმალეთის საქართველო

ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ, ოსმალთა ჯარი ტრაპიზონის სამეფოს მოადგა, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ 1592 წ.

აიღეს ქართველები და სამცხე-საათაბაგო ხელში ჩაიგდეს. მაგრამ ქართველებს აქ შერჩათ თვისი ცხოვრების წესები, სამართალი, ქართული კანონები, ჰყვანდათ ათაბაგი, ანუ მთავარი სამცხისა, ქართველებს ოსმალთა ხელში ჰქონდათ სრული ავტონომია, ქართველები ოსმალებს მარტოთ ხარჯს აძლევდენ, და ერთგულობდნენ. უმადურ ოსმალებმა ბექა ათაბაგის შესყიდვით 1626 წ. მოსპეს სამცხე-საათაბაგოელთ ათაბაგობა და მათ მაგიერ ახალციხეში ფაშობა, ანუ ვალი ფაშობა განაწესეს. ფაშობა მისცეს თვით ბექა ათაბაგს ჯაყელს, რომელმაც სტამბოლში ისლამიც აღიარა, ეს იყო ქართველთაგანი პირველი ფაშა, რომელიც ისლამს დაუკავშირდა.

ათაბაგობის მოსპობის შემდეგ მთელი სამცხე-საათაბაგო გაყვეს 24 სანჯაყათ და ოთხ საფაშალიკოთ, ანუ საგუბერნიოთ, მეხუთე იყო ვალი ფაშა, რომელიც ახალციხეში იჯდა და მთელს ოსმალეთის საქართველოს საქმეებს განაგებდა. სამცხე-საათაბაგოს ვალი ფაშები ახალციხეში ისხდენ და განაგებდენ 1627—1744 წ. ამ უკანასკნელ წელს კი დაეცა ეს გვარი ოსმალეთის საქართველოში და ამ გვარის ფაშებიც მოისპენ. 1745 წ. ამათ ალაგას ვალი ფაშად დანიშნულ იქმნა ფაშა სულეიმან ქებაძე, გურული, აფრიკას მთავარსარდლად ნამყოფი, ამან ცოტა ხანს იფაშა.

ოსმალოს მთავრობამ ამას შურით ღალატი დასწამეს, მეგობრობა გურულებთან და იმერთა და ქართველ მეფესთან და ამიტომ სულთანის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს. მათ შემდეგ ოსმალეთის საქართველოში გაბატონდა ხიმშიაშვილის გვარი. ამ გვარიდან პირველი იყო აბდულ ალი. მერე მისი შვილი სელიმი.

სელიმ ფაშას, რომელიც ის ოსმალოს მთავრობას ებრძოდა, მას თავი მოსჭრეს 1815 წ. აჭარაში. მისი შვილი იყო ახმედ ფაშა, რომელსაც დიდათ ჰსუროდა რუსებთან დაკავშირება და მით ოსმალოს საქართველოს რუსეთის საქართველოსთან შემოერთება, ამისთვის მათ ლაპარაკიც ჰქონდათ, მაგრამ ეს განზრახვა ჩაშალა სომეხმა ვასალი ბებუთოვმა, 1830 წლის კავკასიის რუსის ჯარის მთავარ სარდალმა, ამის სანაცვლოთ, რუსის მთავრობას ახმედ ფაშისათვის უნდა მიეცა რუსის გენერლობა, ჩინები, გენერლის ლენტი და უფლება მის, რომ როცა მამა მოკვდებოდა, მის მაგიერ მისი შვილი უნდა გამხდარიყო მამის მოადგილეთ.

ეს ვერ მოხერხდა, ახალციხე-ახალქალაქი რუსებმა 1829 წ. აიღეს და ოსმალოს მთავრობამ ახმედ ფაშაც არზრუმში გადაასახლა, აქ გარდაიცვალა ეს ვალი ფაშის ხარისხით, 1836 წ. ამ ფაშის სიკვდილით ხიმშიაშვილების ფლობაც მოისპო ოსმალეთის საქართველოში, თუმცა ახმედ ფაშას შვილებიც ჰყვანდა. ერთი შერიფ ბეგი, რომელიც საქართველოსთან დაკავშირების დიდი ერთგული იყო და რომლის მეცადინეობითაც შემოუერთდა ოსმალოს საქართველო რუსეთის საქართველოსთან 1878 წ. ამ შეერთების საქმის შრომაში დიდი ამაგი მიუძღვის შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს, გენერალს გრიგოლ გურიელს და მიხეილ მეფისაშვილს.

შეერთების დროს, თბილისში ჩამოვიდა, მასთან იყვნენ აჭარის ბეგებიც, ქართველებმა თბილისში დიდი ნადიმი გაუმართეს. დიდი პატივი სცეს, მეც კი ვეახელ ამ ბეგებს და ქართული წიგნები მივართვი, ესენი დიდი მადლობელნი იყვნენ, სადილზედ ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ ღმერთმა შეისმინა ჩვენი ნატვრა და დიდის ხნით დაშორებული ძმები კიდევ შეგვაერთა და ყველანი საქართველოს ერთ უღელში შეგვყარა და ერთათ შეგვაბაო.

ისინი დიდის თავაზით წავიდნენ თბილისიდამ და მალე არტაანიდამ შერიფ ბეგმა თბილისში წერილი მოიწერა, ეს წერილი გაზ. „დროება“-ში დაბეჭდეს, რითაც შერიფ ბეგი თავის ძმა ბეგების პირით ქართველებს უძღვნის დიდს მადლობას, დიდს პატივის ცემას და სალამს იმ პურ-მარილის და თავაზის გამო, რაც „თქვენ აღმოგვიჩინეთ ჩვენ თბილისში ყოფნის დროსო“.

ღმერთს მადლობა შევწიროთ და ვინატროთ მომავალში ჩვენი უფრო მტკიცეთ დაახლოვება და მით საქართველოს აყვავება და გაძლიერებაო. ასე ავედრებს ღმერს შერიფ ბეგი საქართველოს შეერთებას აყვავებას და გაძლიერებას შერიფ ბეგი მიიცვალა 1892 წ. მოხუცებული.

დღეს, მისი შვილია საქართველოს მოღალატე ჯამალ ბეგი. ნათქვამია, რომ „ერთის ხიდამ ბარიც გამოვა და ნიჩბიცაო“ მამა ისეთი გულ კეთილი ქართველი კაცი იყო თავის სამშობლო საქართველოსი, ასეთის კაცის შვილი კი მოღალატე გამოვიდა საქართველოსი.

1878 წ. მართალია რუსეთის საქართველოს შემოუერთდა ოსმალეთის საქართველო, ხოლო ეს იყო ოთხი ნაწილი იმ საქართველოსი, რაც ოსმალეთმა 1687 წ. დაიპყრო, მაგალითებრ ეს ადგილები არის ბათუმის ოლქი, ართვინის, არტაანის ოლთისის და დანარჩენი ადგილის თითქმის ოცი ამდენი კი დარჩა ისევ ოსმალეთის ხელში.

ბოროტებით მოხდა ის, რომ კინაღამ ამ ბოლოს დროს ეს შემოერთებული საქართველოს ადგილებიც კინაღამ უკან წაგვართვეს, თითქმის ოსმალთ ნატვრა ჰქონდათ და ამისთვის შრომობდენ კიდეც, რომ 1830 წ შეცდომა რუსის მთავრობას 1878 წ. მოსვლოდა და საქართველოს ყველა ადგილებიც ოსმალთა ხელში დარჩენილიყოს. ასე არ მოხდა, რადგან ოსმალეთის საქართველოს სათავეში უდგნენ ისეთი პირები, როგორც გენერალი გრიგოლ გურიელი, შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი და ახალციხელი მიხეილ მეფისაშვილი ამიტომაც 1830 წ. შეცდომა აცილებულ იქმნა თავიდან.

ვიტყვით, იმასაც დასასრულ, რომ ამ შემოერთებისთვის, რუსის ჯართან დიდი ძალი ქართველი ხალხიც ლიხოცა ომებში და ერთ დღეს, ნოღოქთან რამდენიმე ათასი კარგი ჯარის კაცი მოსპო მტერმა და ეს შემოერთება ქართველებს უსისხლოდ ვერ მოუხდათ.

ზ. ჰ.

## სამხედრო სამინისტ. არსებულ დრ. კულტურულ განმანათ. სექციის შესახებ

(სამხედრო სამინისტროს საყურადღებოდ)

ყოფილ სამხედრო მინისტრის ინიციატივით დაარსდა კულტურულ განმანათლებელი სექცია, რომელმაც მიზნად დაისახა ჩვენს ჯარში განათლების შეტანა. სექციამ რამოდენიმე ნაწილებში დაარსა სკოლები, სამკითხველოები, აწყობს ჯარის ნაწილებში ლექციებს, საღამოებს და სხვა. სექციის დღემდე არავინ არავითარ დახმარებას არ უწევდა და მისი მუშაობა, მართლაც რომ, გასაკვირველი იყო. სექციაში უსასყიდლოთ მუშაობდა, როგორც გამგე აგრეთვე მდივანი და ინსტრუქტორ-მასწავლებელი განსაკუთრებით ეს ითქმის ინსტრუქტორ-მასწავლებელ თ. ანთაძეზე, რომელიც ეს სამი თვეა სრულიად უსასყიდლოთ მუშაობს.

სექციამ განიზრახა გააფართოვოს თავისი მუშაობა და იმედია თავისი მხნე მუშაობით იგი მიზანს მიაღწევს. სექციის გამგეობა არავითარ შრომას არ ჰზოგავს, ოღონდაც საქმე რიგიანად დააყენოს, მაგრამ, საჭიროა სამხედრო სამინისტრო ყურადღებით მოეპყრას მას და მატერიალური დახმარებაც აღმოუჩინოს, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. აღსანიშნავია ერთი რამ, სექცია ჯერ დამტკიცებული არ არის, რაც დიდად აფერხებს საქმეს.

დიდი ხანია, რაც ხარჯთ-აღრიცხვა წარდგენილია, მაგრამ ჯერ-ერობით კი არ არის დამტკიცებული და ამიტომ არის სწორედ გამგეობას უსასყიდლოთ უხდება ჯერ-ჯერობით სამსახური. თუმცა ჩვენ დიდი იმედი გვაქვს მთავრობა უყურადღებოდ არ დასტოვებს ჯარის სულიერ საზრდოს და რამენაირად უეჭველში დაამტკიცებს სექციის შტატს და ხარჯთ-აღრიცხვას. მაშინ ჩვენს ჯარსაც სულიერი საზრდო ექნება, როგორიც არის კულტურულის მუშაობა ჯარში. მაგრამ აქვე აღსანიშნავია ერთი რამ, რომელიც აუცილებლად ყურადღების ღირსია. დღევანდელ დროებით სექციაში გამგეობა უსასყიდლოდ მსახურებს იმ იმედით, როდესაც მთავრობა სექციას დაამტკიცებს დღევანდელი მომუშავენი უადგილოთ არ დარჩებიან. თორემ ბევრი მომდომებს, მზა დამტკიცებულ სექციაში სამსახურისათვის შესვლას. აღსანიშნავია აგრედვე ის, რომ დღევანდელ სექციაში ყველა სპეციალისტი მასწავლებლები მსახურებენ, რომელთაც ეს საქმე ესმით და შეიძლება შემდეგში კი აქ სამსახური მოინდომონ იმისთანა პირებმა, რომლებიც საქმესთან ახლოს არ დგანან. აი, სწორედ აქ მივაქცევთ ჩვენ სამინისტროს ყურადღებას და ვითხოვთ სექცია იყოს დამტკიცებული ზემოხსენებული პირობების მიხედვით ჩვენი ჯარის კულტურულად აყვავებისათვის.

გარეშე.

## კორესპონდენცია

### სოფ. ზედა-ილემი

(ზემო იმერეთი)

ეს სოფელი მდებარეობს ქ. ზესტაფონიდან 7 ვერსის მანძილზე, გაშენებულია მაღალსა და მთიან ფერდობებზე. შუაში ჩაუდის პატარა მდინარე რომელსაც ილმულა ჰქვიან. ილმულა შორაპანში ერთვის მდ. ძირულას და მერე კი ყვირილას. ამ სოფელში ასი კომლი სცხოვრობს. სოფელში მრავალი ინტელიგენტური ძალები მოიპოვებიან. ამ 40 წლის წინად აქ დაარსებულა სკოლა. ამ სკოლამ, დიდი ნაყოფი გამოიღო დღეს ეს სკოლა სდუმს და ამაში ბრალი მიუძღვის ნიქაბაძეს, რომელიც სკოლის მასწავლებლად იყო, მან შუა მეცადინეობის დროს მიატოვა მოწაფეები ასეთმა მოქმედებამ რასაკვირველია ბავშვები დაქსაქსა, სკოლაში აღარ დადიოდენ. მაშინ მასწავლებელი ეახლა სახალხო სკოლების ინსპექტორს და განუცხადა: „სკოლაში მოწაფეები არ დადიან სრულიად და ამ გარემოებამ მაიძულა სასწავლებელი მიმეტოვებინაო“. ნამდვილად სკოლაში 70 მოწაფე ითვლებოდა, სახალხო სკოლების ინსპექტორი გავაშელიც აჰყვა იმის განცხადებას და სკოლა ზემო ილემში დახურეს და ქვემო ილემში გადაიტანეს, ბ. ნიქაბაძესაც ეს უნდოდა, ვინაიდგან იგი თვითონ ქვედა—ილემელია, გადატანილი სკოლა სახლთან გაიკეთა. მაგრამ მინდა შევეკითხო სკოლების ინსპექტორ გავაშელს რა ჰქნან იმ 70 მოწაფემ, რომლებიც ღვთის ანაბარათ მიატოვეს სკოლის დახურვის შემდეგ? ეს ხომ დიდი საცოდავებაა. სოფელი ქვედა ილემი 5 ვერსზეა დაცილებული ამ სოფელს. სამართლიანობა მოითხოვს რომ სკოლა ზედა ილემში იქმნეს დაბრუნებული, ქვედა ილემს თუ სურს სკოლა ცალკე უნდა გაიღოს. საკითხის ასე გადაჭრა მოელის ღვთის ანაბარად დარჩენილი მოწაფეთა მშობლები.

აქ არსებობს აგრეთვე სამკითხველო, რომელიც სიძაბეს განიცდის იმ დროს, როდესაც ამ სოფლის შვილებს შეუძლიანთ მისი შენახვა. აქაური სოფლის ინტელიგენცია დიდ უსაქმობას იჩენს, რომლის ბრალია ყველა ზემოაღნიშნული პირობები.

ს. ილემელი


## სახელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, თიბათვის 11-ს, ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება ვ. შექსპირის ტრაგედია

## ოტელო

ოტელოს როლს შეასრულებს ალ. იმედაშვილი.
მონაწილეობენ: ქქ. ა. შოთაძე, ს. ბეჟანიშვილი, ბ.ბ. ზარდალიშვილი, პ. კორიშელი, ვ. მატარაძე, გ. ფრონისპირელი, დ. ძნელაძე, ს. სანდალა, მ. ლორთქიფანიძე, ი. თარალიშვილი და სხვანი.
დასაწყისი საღამოს 8 ს. რეჟ. ა. ანდრონიკაშვილი.
3—101—1

## ახლად მოწყობილი სტამბა „ხელოვნება“

ველიამინოვის ქუჩა № 20.

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკაზმავ საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტათ დაკლებულ ფასებში.

### საყურადღებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს

სტამბა „ხელოვნებას“ აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წვრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—21)


## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.
მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.
მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.
მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.
მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.
მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.
მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსიდან — ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.
მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.
მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბაქოდან**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა** იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

**კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.**

საათები ნაჩვენებია თბილისის დროთი.

**თბილისიდან-მელაანამდე.**

საავარაკო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მელაანში მიდის 12 სათზე და 50 წუთზე.
საავარაკო მატარ. № 15 მელაანში უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

**თბილისიდან-თელავამდე.**

საფოსტო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

**თელავიდან-თბილისამდე.**

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მელაანში უერთდება საავარაკო მატარებელს № 15 და მოდის თბილისში საღამოს 7 საათზე და 15 წუთზე.

**გურჯაანიდან-წნორის-წყლამდე.**

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წნორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

**წნორის-წყლიდან-გურჯაანამდე.**

მატარებელი № 5. წნორის-წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)


ექიმი

## ა. მ. პაატაშვილი

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათ. დე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგ და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).

(25—2324—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

## გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და ...სევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის ალექსანდრე დავითის ძის

## ქექელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

## ე. ა. მონსე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—48


სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.